

# უფლის სახელით

## უფალი ჩვენი სიმართლე:

სულის ხსნისა
და
საქართველოს
გაბრწყინებისთვის
გადასადგმელი
ნაბიჯები

საარჩევნო პროგრამა

## შ ი ნ ა ა რ ს ი

**საარჩევნო გაერთიანების**
**„უფლის სახელით - უფალია ჩვენი სიმართლე“-ს**
**საარჩევნო პროგრამა**
**„სულის ხსნისა და საქართველოს გაბრწყინებისათვის**
**გადასადგმელი ნაბიჯები“**

წინათქმა:
ა) გაერთიანების დასახელება:
„უფლის სახელით - უფალია ჩვენი სიმართლე“ .................... 3
ბ) გაერთიანების დევიზი:
„აირჩიეთ სიცოცხლე, რათა იცოცხლოთ“ .................... 3

საარჩევნო გაერთიანების „უფლის სახელით - უფალია ჩვენი სიმართლე“-ს საარჩევნო პროგრამის პირველი ნაწილი:
„სულის ხსნისათვის გადასადგმელი ნაბიჯები“ .................... 4

საარჩევნო გაერთიანების „უფლის სახელით - უფალია ჩვენი სიმართლე“-ს საარჩევნო პროგრამის მეორე ნაწილი:
„საქართველოს გაბრწყინებისათვის
გადასადგმელი ნაბიჯები“ .................... 8

თავი 1.
ადგილობრივი თვითმმართველობის
წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებიდან
რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებამდე .................... 9

თავი 2.
საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების
ორი სტრატეგიული საკითხი:
მართლმადიდებლობა და სამხედრო ნეიტრალიტეტი .................... 16

თავი 3.
1992 – 2012 წლებში საქართველოში გამეფებული
დანაშაულებრივი რეჟიმის ქმედებებით
დაზარალებული მოსახლეობის გასაგონად სათქმელი .................... 19

თავი 4.
„უფლის სახელით...“ მავალი ჯგუფის გზასავალის
ბიბლიური კონტურები .................... 31

საარჩევნო გაერთიანების
„ᲣᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ - ᲣᲤᲐᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ“-ს
საარჩევნო პროგრამა

# *სულის ხსნისა და საქართველოს გაბრწყინებისათვის გადასადგმელი ნაბიჯები*

## ᲬᲘᲜᲐᲗᲥᲛᲐ

### ა) გაერთიანების დასახელება:
### „ᲣᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ - ᲣᲤᲐᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ“

2014 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში მონაწილე ჩვენი გაერთიანების დასახელება: „ᲣᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ“ - ᲣᲤᲐᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ“, ბიბლიაში დაცული რამოდენიმე მინიშნების ბაზაზე გამოიკვეთა, კერძოდ:

„... გეუბნებით თქვენ: ვეღარ მიხილავთ ამიერიდან, სანამ არ იტყვით: კურთხეულია მომავალი ᲣᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ“ -ო [მათე 23,39].

- „აჰა, დადგება ჟამი (კოდია), ამბობს უფალი, და აღვუდგენ დავითს მართალ მორჩს (კოდია), მეფედ იმეფებს და ბრძნულად მოიქცევა, გააჩენს სამართალს და სიმართლეს ქვეყნად... ეს იქნება მისი სახელი, რომელსაც დაარქმევენ: ᲣᲤᲐᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ“ (იერ. 23,5-6).

ამდენად, ბოლო ჟამში ასაცხადებელ ნიშანთა შორის, ორი ერთმანეთთან დაკავშირებული ნიშანსვეტი, ერთი პირობითი მედლის ორ მხარედ იქცა... აქედან, ერთ მხარეს - „ᲣᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ“ აწერია, ხოლო მეორე მხარე ასე იკითხება – „ᲣᲤᲐᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ“.

### ბ) გაერთიანების დევიზი:
### „ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲗ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ, ᲠᲐᲗᲐ ᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝᲗ“

საარჩევნო გაერთიანების დევიზი: „ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲗ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ, ᲠᲐᲗᲐ ᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝᲗ“, ასევე ბიბლიური მინიშნების მიხედვით შეირჩა, კერძოდ

„გიმოწმებ დღეს თქვენს წინაშე ცასა და მიწას: სიცოცხლე და სიკვდილი დაგიდევი წინ, კურთხევა და წყევლა. ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ, ᲠᲝᲛ ᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝᲗ შენ და შენმა შთამომავლობამ. გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი, გესმოდეს მისი სიტყვა და მიეწებე მას, რადგან ის არის შენი სიცოცხლე და დღეგრძელობა..." [2 რჯ. 30,19-20].

და კიდევ - „...მიპასუხა და თქვა: ეს არის ფიქრი ბრძოლაზე,რომელიც უნდა გამართოს ყოველმა ადამიანმა, ამქვეყნად შობილმა. თუ დამარცხდა, ისე დაიტანჯება, როგორც შენ თქვი; თუ გაიმარჯვა, იმას მიიხვეჭს, რასაც მე გეუბნები. რადგან ეს არის სიცოცხლე, რაც მოსემ ასწავლა ხალხს; ვიდრე ცოცხალი იყო, ეუბნებოდა: ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ, ᲠᲐᲗᲐ ᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝ“ [3 ეზრა 7,57-59].

თქვენს წინაშეა - „აირჩიეთ სიცოცხლე, რათა იცოცხლოთ“
დევიზით მომქმედი საარჩევნო გაერთიანების:
„უფლის სახელით - უფალია ჩვენი სიმართლე“,
ორი ნაწილისაგან შემდგარი
საარჩევნო პროგრამა:
„სულის ხსნისა და
საქართველოს გაბრწყინებისათვის
გადასადგმელი ნაბიჯები“.

## საარჩევნო გაერთიანება: „უფლის სახელით - უფალია ჩვენი სიმართლე“-ს საარჩევნო პროგრამის

### პირველი ნაწილი:

## „სულის ხსნისათვის გადასადგმელი ნაბიჯები“

წინამდებარე ნაწილი განკუთვნილია მათდა გასაგონად, რომელთაც სწამთ საქართველოს სულიერი მისია [„დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმანამხილოს ამით ენითა“] და ისწრაფვიან თავისი სულის გადარჩენისაკენ.

მე-10 საუკუნეში მოღვაწე იოანე-ზოსიმეს პირით გადმოცემული ღმერთის ნების თანახმად: უფალ იესუ ქრისტეს მეორედ მოსვლისწინა დროში აცხადებული ნიშნების ყველასათვის გამჟღავნება - ქართული ენის წილხვედრია, ანუ სწორედ - ამ ენაზე მოლაპარაკე ერის წარმომადგენლები იქნებიან უფლის ნების გამხმოვანებელნი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უფლის მიერ წმიდა წერილში გადმოცემული ნიშნების აღსრულების ფონზე, ანუ - უფლის სახელით ვაცხადებთ, რომ:

- საქართველოს უახლეს ისტორიაში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა წმინდა წერილშია წინასწარნაუწყები, ანუ - ბოლო ჟამის დადგომის დამადასტურებელი ნიშნების აცხადების ადგილია - საქართველო!

კერძოდ, ბიბლიურ კოდირებულ ნიშნებზე დაყრდნობით, ანუ - უფლის სახელით გვეუწყება, რომ ბოლო ჟამის დადგომა უნდა შევიცნოთ იმ ქვეყანაში [აქ - საქართველოში] მოსახდენი მოვლენებით, რომელიც 70 წელი [ათეისტურ სახელმწიფო წყობაში ყოფნა: 1921-1991 წ.წ.] ჩრდილოეთის მეფის [რუსეთის] ტყვეობაში იქნება [იხ. იერ. 19,4; იერ. 25,8-12; იერ. 29,10].

70 წლიანი დროის მიწურულიდან ათვლით, ამ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების ჩამონათვალი [მათი წინასწარნაუწყები ისტორია] ასეთია:

1. 70-წლიანი დროის მიწურულს, ამ ქვეყანაში, მოდის „ცხებული მეფე“ [ზვიად გამსახურდია], რომლისთვისაც „შვიდი შვიდეული“ [საარჩევნო ბლოკის დაარსებიდან - არჩევნებამდე: 1990 წ. 10.09 – 1990 წ. 28.10] და „სამოცდაორი

შვიდეულია“ [1990 წ. 28.10 - 1992 წ. 6.01] გამოყოფილი. ამის შემდეგ იგი განიდევნება სამშობლოდან, და ორწლიანი დევნის ბოლოს [1993 წ. 31.12] მოკვდინებულ იქნება [იხ. დან 8,21; დან. 9,25-26; ეს. 63,18; იერ. 28,3; დან. 11,21-22].

2. „ცხებული მეფის“ [ზვიად გამსახურდიას] მოკვეთის შემდეგ, ქვეყნის სათავეში „ႧႤႧႰႨ ႫႤႴႤ“ [ჯ. იოსელიანი, თ. კიტოვანი, თ. სიგუა, ედ. შევარდნაძე] მოვა, რომელთაგან მეოთხე [შევარდნაძე], წინა სამისაგან განსხვავებით, ოდნავ მოგვიანებით [1992 წ. 7 მარტს] გამოჩნდება [იხ. დან. 8,21-25];

3. ႡႭႪႭ ႯႠႫႨႱ ႠႬႲႨႵႰႨႱႲႤ ႠႰႱႨႱ ႫႠႲႠႰႤႡႤႪႨ ႤႱ „ႫႤႭႧႾႤ ႫႤႴႤ“ [ედ. შევარდნაძე], ხელისუფლების სათავეში ყოფნის 10,5 წლის ბოლოს [2003 წ.], მისივე ბანაკიდან გამოსული „მთავრის“ [მ.სააკაშვილი] მიერ იქნება დამხობილი [იხ. დან. 8,25; დან. 9,27; დან. 11,5; გამოცხ. 11,10-12];

4. ႡႭႪႭ ႯႠႫႨႱ ႺႰႳႼႨႬႠႱႼႠႰႫႤႲႷႤႪႨႱ ႠႰႱႨႱ ႫႠႲႠႰႤႡႤႪႨ ႤႱ „ႫႧႠႥႠႰႨ“ [მ. სააკაშვილი], ორ სხვა „მეფესთან“ [ზ. ჟვანია და ნ. ბურჯანაძე] ერთად გაბატონდება, რომელიც, მოგვიანებით, თანამიმდევრულად [2005 და 2008 წ.წ.] ჩამოიცილებს მათ გზიდან და [2008 წ. იანვრიდან] ერთპიროვნულად გამეფდება [იხ. 3 ეზრა: 11,33-35; 12,22-26];

5. ბოლო ჟამის ცრუწინასწარმეტყველის არსის მატარებელი ამ „მთავრის“ [მ. სააკაშვილის] ერთპიროვნული მმართველობა 3,5 წლის მანძილზე გაგრძელდება; რომლის საწყის ეტაპზე [2008 წ. აგვისტო-სექტემბერი], დაქუცმაცებული მისი ქვეყნის ზოგიერთი ნაწილი [სამაჩაბლო და აფხაზეთი] „სხვათა ხელში“ [რუსეთის] გადავა [იხ. დან 11,4];

6. ხსენებული 3.5 წლის მიწურულს [2011 წ. ოქტომბერი] გამოჩნდება, ბოლო ჟამში, ႳႴႪႨႱ ႢႦႨႱ ႫႭႱႼႭႰႤႡႪႨႱ ႠႰႱႨႱ ႫႠႲႠႰႤႡႤႪႨ ႮႨႰႭႥႬႤႡႠ [ბ. ივანიშვილი], რომელიც:

- ჯერ შეავიწროებს „ბოროტეულ მთავარს“ [მ. სააკაშვილს], და

- მასთან ერთად ხელისუფლებაში ყოფნის მოკლე დროის შემდეგ, საბოლოოდ დაამარცხებს მას; თუმცა თავადაც გაუჩინარდება [იხ. დან. 7,25-26; 3 ეზრა 12,2; 21; 28; 30];

7. ეს უკანასკნელი უნდა მოხდეს „ႡႬႤႪႨႱ ႼႤႪႨႼႠႣႱ“ [2013 წ.], როდესაც ქვეყნის სათავეში მოვა - გველის არსის მატარებელი პიროვნება.

[2013 წ. 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში - გიორგი მარ-[ႡႬႤႪ]აშვილის გამარჯვება, ბიბლიაში დაფიქსირებული იმ მინიშნების მისტერიული მხარის მიმანიშნებელია, რასაც ე.წ. წრედის შეკვრა, ანუ - ეშმაკის, დასაბამისმიერი მაცდური გველის - ასპარეზზე ღიად გამოსვლა ჰქვია].

8. მომდევნო ბიბლიური მინიშნებითი რგოლი ასეა დაფიქსირებული:

„...ხოლო შემდგომ ამისა ႧႠႥႨ ႣႠႨႾႱႬႨႱ ႫႺႨႰႤႣႨ ႾႬႨႧ... სატანა დაიხსნება

თავისი საპყრობილედან. და გამოვა, რათა აცდუნოს ხალხნი, რომელნიც არიან ქვეყნის ოთხსავ კუთხეში... რათა საბრძოლველად შეკრიბოს ისინი, რომელთა სიმრავლე, როგორც ქვიშა ზღვისა... და ჩამოეშვა ცეცხლი ღმრთისაგან ზეცით, და შთანთქა ისინი" [გამოცხ. 20,3; 7-9].

აღნიშნულით გამოკვეთილია ბოლო ჟამის ის დამამთავრებელი მიჯნა, რომლის ხანგრძლივობის თაობაზეც ასე გვეუწყება - „ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐᲘᲮᲡᲜᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔᲓᲘ ᲮᲜᲘᲗ". თავად ეს - „ᲛᲪᲘᲠᲔ ᲮᲐᲜᲘ" რა ხანგრძლივობისაა არსად გვეუწყება, თუმცა იმაზე კი მიგვანიშნება, თუ როგორ მთავრდება ხსენებული „მცირე ხანი" – „ᲩᲐᲛᲝᲔᲨᲕᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲦᲛᲠᲗᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲖᲔᲪᲘᲗ, ᲓᲐ ᲨᲗᲐᲜᲗᲥᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ";

9. ამ „მცირედი ხნით" სახელდებულ დროში, ასპარეზზე გამოდის „ᲣᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ..." მაგალი ძალა [2014 წ. 8 მარტიდან ათვლით წარმართული საქმიანობის შედეგად, 10 აპრილს საარჩევნო რეგისტრაცია მოიპოვა პ/გ „ᲣᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ - ᲣᲤᲐᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ"-მ], რომელთა მეშვეობითაც ხდება, ბიბლიაში დაფიქსირებული - „ᲑᲔᲭᲔᲓᲓᲐᲡᲛᲣᲚᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ" მობიებითი პროცესის ასრულება;

10. აღნიშნულით [ანუ 2014 წ. 10 აპრილის შემდგომად] იკვეთება, ბიბლიური და პოლიტიკური კუთხით გასააზრებელ - განსახორციელებელი: ორი, ერთმანეთის პარალელურად მიმდინარე ეტაპი. კერძოდ:

ა) ბიბლიური კარნახის მიხედვით, მიმდინარე პროცესების თაობაზე, ასეთი სურათი იკვეთება - „...გეუბნებით, ხალხებო, ვინც კი მოისმენთ და გაიგონებთ: ელოდეთ თქვენს მწყემსს და მარადიულ შვებას მოგანიჭებთ იგი; რადგან ახლოა ის, ვინც მოსასვლელია წუთისოფლის დასასრულს. ᲛᲖᲐᲓ ᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲡᲐᲡᲣᲤᲔᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲐᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ, რადგან მარადიული ნათელი გაგინათებთ საუკუნოდ...

მიიღეთ მადლი და სიხარულით ჰმადლობდეთ მას, ვინც ციურ სასუფევლად მოგიხმოთ. წამოიმართენით და იდექით, და იხილეთ უფლის ნადიმზე ბეჭედ-დასმულთა რიცხვი" [3 ეზრა 2,34-35; 37-38].

ბოლო ჟამის კუთხით გააზრების შემთხვევაში, ხსენებულ „მცირე ხანში" გასავლელი ამ ეტაპის [ბიბლიის მიხედვით გამოყოფილი] თავი და ბოლო ასეთია:

- „ᲬᲐᲛᲝᲘᲛᲐᲠᲗᲔᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲘᲓᲔᲥᲘᲗ" [3 ეზრა 2,38], და
- „...იხილეთ ᲣᲤᲚᲘᲡ ᲜᲐᲓᲘᲛᲖᲔ ᲑᲔᲭᲔᲓᲓᲐᲡᲛᲣᲚᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ. ვინც წუთისოფლის ჩრდილს თავი დააღწიეს და უფლისგან ბრწყინვალე სამოსი მიიღეს. ჩაიბარე, სიონო, შენი რიცხვი და მიისთვლე თეთრად მოსილნი, ვინც უფლის რჯული აღასრულა. შესრულდა რიცხვი შენი სანატრელი შვილებისა. შესთხოვე უფლის ძალას, რათა იკურთხოს შენი ხალხი, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲛᲘᲗᲕᲔ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔ" [3 ეზრა 2,38-41].

აქ, ჩვენის აზრით, ხსენებული საქმიანობის საბოლოო შედეგზე, ანუ „ᲣᲤᲚᲘᲡ ᲜᲐᲓᲘᲛᲖᲔ ᲑᲔᲭᲔᲓᲓᲐᲡᲛᲣᲚᲗᲐ" წილხვედრილ მადლს ზიარებული ადამიანების ერთობაზეა მინიშნება.

ბ) ხსენებული ბიბლიური მინიშნების ჩვენს თვალწინ აცხადება, პოლიტიკური კუთხით განსავითარებელ იმ გზასავალად გვესახება, რასაც - 2014 წ. 15 ივნისს დაგეგმილ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის მზადება ჰქვია, კერძოდ:

- უნდა მოვიძიოთ, და საბოლოოდ დავაკომპლექტოთ, არჩევნებში წარსადგენ კანდიდატთა, კანონით განსაზღვრული, პარტიული სია;

- უნდა წარვმართოთ წინასაარჩევნო მარათონი.

ჩვენის აზრით, ბიბლიაში მითითებული - „იხილეთ უფლის ნადიმზე ბეჭედდასმულთა რიცხვი", კოდირებულად უნდა მიგვანიშნებდეს იმ პირთა საერთო სიას, რომელიც

- ერთის მხრივ, არჩევნებში კანდიდატების სახით მონაწილე, ხოლო

- მეორეს მხრივ, წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურად ჩართულ მხარდამჭერთა, და 2014 წ. 15 ივნისს, არჩევანის ჩვენი გაერთიანების სასარგებლოდ გამკეთებელ ამომრჩეველთა ერთობისაგან შედგება.

„ბეჭედდასასმელთა სამიებელი გზასავალის" თაობაზე საუბარი ასეთი ბიბლიური მინიშნებით გვინდა დავასრულოთ:

„და ვიხილე სხვა ანგელოზი [კოდია], მზის აღმოსავლეთით აღმავალი [კოდია], რომელსაც ჰქონდა ცოცხალი ღმერთის ბეჭედი [კოდია] და შესძახა ხმამაღლა ოთხ ანგელოზს, რომელთაც მიეცათ ვნება მიწის და ზღვისა:

ნუ ავნებთ ნურც მიწას, ნურც ზღვას, ნურც ხეებს, ვიდრე არ აღვბეჭდავთ ბეჭდით ღმერთის ჩვენის მონათა შუბლებს" [გამოცხ. 7,2-3].

ჩვენი პ/გ „უფლის სახელით - უფალია ჩვენი სიმართლე"-ს საარჩევნო პროგრამის პირველ ნაწილზე საუბრის დასასრულს, მოდით ისევ ბიბლიას ჩავეძიოთ.

ბიბლიიდან გვეუწყება - „... ეს სიტყვები საიდუმლოდ შენახული და დაბეჭდილიაო ბოლო ჟამამდე. მრავალი განიწმიდება, გასპეტაკდება და გამოიბრძმედება, ხოლო ბოროტეულნი ბოროტად მოიქცევიან; ვერცერთი ბოროტეული ვერ მიხვდება, ხოლო ბრძენნი მიხვდებიან" [დან. 12,9-10].

და კიდევ: გვახსოვდეს - „ადრე მითქვამს, ახლაც ვამბობ, და კვლავ ვიტყვი: დასაღუპად განწირულნი გადარჩენილებზე ბევრნი არიან, როგორც ტალღაა მეტი წვეთზე" [3 ეზრა 9,15-16].

ჩვენი წინამდებარე საარჩევნო პროგრამა, მათდა გასაგონადაა განკუთვნილი, რომელნიც საკუთარი სულის გადარჩენისაკენ ისწრაფვიან, ანუ მათთვის ვინაც - ღვთისაგან ბოძებული გონიერებისა გამო „წვეთში" ყოფნის წილხვედრილია... ხოლო ის, თუ ვინ-ვინაა, ამაზე ყველამ თავად იფიქროს... არჩევანი ხომ - თქვენზეა!

ღმერთო, შეგვინდე შეცოდებანი ჩვენი და მოგვმადლე მართებული არჩევანის გაკეთების უნარი.

ღმერთო, დაიდიდოს შენი ძალა და სამართალი სახელი და დიდება, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ!

## საარჩევნო გაერთიანება:
## „უფლის სახელით - უფალია ჩვენი სიმართლე“-ს
## საარჩევნო პროგრამის

## მეორე ნაწილი:

# „საქართველოს გაბრწყინებისათვის გადასადგმელი ნაბიჯები“

უფალ იესუ ქრისტეს მეორედ გაცხადების, ანუ განკითხვის დღის დადგომამდე დარჩენილ დროში, საქართველოს გაბრწყინების მომლოდინე ქართველმა ერმა, ჩვენი ქვეყნის დღემდე მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრებიდან რადიკალურად განსხვავებული გზასავალი აუნდა აირჩიოს.

1991-1992 წლების გასაყარზე მომხდარი სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდგომად ანტიკონსტიტუციური გზით ქვეყნის სათავეში მოსულმა, ერთის მხრივ: იოსელიანი-კიტოვანი-სიგუას, ხოლო მეორეს მხრივ, მათი სამართალმემკვიდრე, ჯერ - ედ. შევარდნაძის, ხოლო შემდგომად - მ. სააკაშვილის მიერ დამყარებულმა, დანაშაულებრივმა პოლიტიკურმა რეჟიმმა, უმძიმესი შედეგი მოიტანა...

ბიბლიური სწავლების თანახმად - არ არსებობს უცოდველი ადამიანი. ყოველი ჩვენთაგანი, მიზეზთა გამო, გარკვეულ ცხოვრებისეულ შეცდომებს უშვებთ. თითოეული ასეთი შეცდომა, მისი - გამოუსწორებლობის, ანუ - მოუნანიებლობის შემთხვევაში, თითქმის გადაულახავ ბარიერად გვექცევა ხოლმე. და პირიქით - ყოველი ჩადენილი შეცდომის მართებულად გააზრებისა და მონანიების შემთხვევა, ჩვენი ცხოვრების კვლავ ნორმალურ მდინარებაში დაბრუნების შესაძლებლობას გვაძლევს.

ანალოგიური მდგომარეობაა ინდივიდთა ერთობისაგან შემდგარ ერსა და სახელმწიფოსთან მიმართებაშიც:

ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მიერ, მიზეზთა გამო, ჩადენილი შეცდომა-დანაშაული ქვეყნის სახელმწიფოებრივი განვითარების ნორმალურ რიტმს, დანაშაულის ხარისხისდა მიხედვით, აფერხებს - ქვეყანა გაჭირვებასა და სიდუხჭირეშივარდება.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი - ჩადენილი შეცდომის პირველ გააზრებასა და სათანადო ნაბიჯების გადადგმაშია საძიებელი.

„უფლის სახელით - უფალია ჩვენი სიმართლე“-ს სახელით არჩევნებში მონაწილე ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა ვიცით რა ნაბიჯები უნდა გადაიდგეს იმისათვის, რომ ქვეყნის სახელმწიფოებრივი განვითარების ხაზი ნორმალურ კალაპოტში გადავიდეს.

წინამდებარე საარჩევნო პროგრამაში თეზისურად წარმოგიდგენთ ზოგიერთი იმ ნაბიჯის ჩამონათვალს, რომელიც ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების დარეგულირებისათვისაა გამიზნული.

# თავი 1
# ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებიდან რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებამდე

მთელი საქართველოს მასშტაბით, გასაგებ მიზეზთა გამო, 2014 წ. ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტი, დამნაშავე პოლიტიკური რეჟიმის წარმომადგენელი „ნაცებისა“ და მათთან მოთანამშრომლე „ქოცების“ ე.წ. კოაბიტირებული შედეგია.

2014 წ. 15 ივნისის არჩევნების შედეგად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებში მოსული პოლიტიკური გუნდი, იძულებული გახდება რა იმოქმედოს ამ ორგანოების წინა მოწვევის დეპუტაციის მიერ უკვე მიღებული საბიუჯეტო რეგულაციით განსაზღვრულ ჩარჩოებში, უძლური იქნება დადებითი ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნის წინაშე მდგარი კონკრეტული ამოცანების განხორციელებაში.

ქვეყნის საკანონმდებლო სფეროს ძირითადი განმსაზღვრელი: 2012 წ. 1 ოქტომბრის მოწვევის პარლამენტი, მასში წარმოდგენილი ისეთი პოლიტიკური ძალების ერთობაა, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ნებას არ გამოხატავენ.

ჩვენის აზრით, საქართველოს მოსახლეობამ 2014 წ. 15 ივნისის არჩევნებში მხარი ისეთ პოლიტიკურ ძალას უნდა დაუჭიროს, რომელიც სახელისუფლო ბერკეტების მოპოვების შემდეგ, უახლოეს პერიოდში, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარების მომხრე პოზიციის გამხმოვანებელი იქნება.

„უფლის სახელით - უფალია ჩვენი სიმართლე“-ს სახელით არჩევნებში მონაწილე ჩვენი პოლიტიკური გუნდი, დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრში მოქმედი ის ერთადერთი გაერთიანებაა, რომელიც არამარტო მომხრე გართ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისა, არამედ გაგვაჩნია ასეთი არჩევნების ჩატარებისათვის საჭირო კონკრეტული იურიდიული მექანიზმი.

წინამდებარე საარჩევნო პროგრამაში გადმოცემული მექანიზმის განხორციელება დიდწილადაა დამოკიდებული, საქართველოს მომავალ ბედზე ეროვნული სულისკვეთებით მაფიქრალი მოსახლეობის მხარდაჭერაზე.

ამიტომ, თუ თქვენც იზიარებთ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი განვითარების წარმოდგენილ მექანიზმს - შემოგვიერთდით, და - ერთად შევქმნათ საქართველოს გაბრწყინებისათვის საჭირო საფუძველი.

საქართველოს წინაშე მდგარ პრობლემატურ კითხვებზე ჩვენეული პასუხები ასეთია.

## 1.1 თუკი თქვენც ჩვენსავით თვლით, რომ უპირველეს ყოვლისა საჭიროა 1991-1992 წლების მოვლენების შედეგად დარღვეული ეროვნული ცნობიერების აღდგენა, მაგრამ არ იცით როგორ უნდა გადაიჭრას ეს საკითხი, მხარი დაუჭირეთ „უფლის სახელით...“ მომავალი პოლიტიკური გუნდის საარჩევნო პროგრამას, და არჩევნებში გამოხატული მხარდაჭერით მოგვეცით მისი განხორციელების შესაძლებლობა

ჩვენის აზრით საჭიროა მოხდეს საქართველოში 1991 -1992 წლების დეკემბერ - იანვრის მოვლენების პოლიტიკურ - სამართლებრივი შეფასება, კერძოდ:

ვითვალისწინებთ რა, რომ საქართველოში 1991-1992 წლების მიჯნაზე გარე იმპერიული ძალების ხელშეწყობითა და მონაწილეობით, სამხედრო შეიარაღებული გამოსვლის გზით, კანონიერი ხელისუფლების დამხობით გამოწვეულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა კრიზისულმა მდგომარეობამ, ჩვენს ქვეყანაში, სათავე დაუდო - არნახულ უკანონობას, მორალურ-ზნეობრივი ფასეულობების გადაგვარებასა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, რამაც, მთლიანობაში, საქართველოს მოქალაქეთა ცხოვრების დონის უკიდურესი გაუარესება გამოიწვია;

ვითვალისწინებთ რა, რომ 1992 წლის 13 მარტს, ქ. გროზნოში გამართულ სესიაზე, დეპუტატობაში მყოფი, 1990 წ. 28 ოქტომბრის მოწვევის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ [„1991 წლის 22 დეკემბერს რესპუბლიკაში მომხდარი მოვლენების პოლიტიკური შეფასების შესახებ“] და 2005 წლის 11 მარტს, 2003-2004 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ [„1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ“] დადგენილებებს, აუცილებელია

1. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში საქართველოში მომხდარი მოვლენები;

ა) კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება; და

ბ) შეფასდეს, როგორც - საქართველოს სუვერენული სახელმწიფოსა და ადამიანობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად;

2. დაევალოს საქართველოს პროკურატურას - აღძრას სისხლის სამართლის საქმე ყველა იმ პირისა თუ პოლიტიკური გაერთიანების წინააღმდეგ, ვინც ორგანიზება გაუწია ან იარაღით ხელში უშუალოდ მონაწილეობდა ჩვენს ქვეყანაში 1991-1992 წლების გასაყარზე განვითარებულ დანაშაულებრივ ქმედებებს.

3. საქართველოში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში განვითარებული მოვლენების ყველა ის მონაწილე, რომელიც იარაღის ძალით არ იბრძოდა და არ არის გარეული საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულში, გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

1991 წ. 22 დეკემბრიდან დაწყებული ქართული ცნობიერების დარღვევის პერმანენტული პროცესის შესაჩერებლად, აუცილებელია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება რათა:

ქართველი ერის სულიერი გაერთიანების მიზნით, ზემოხსენებული ტრაგედიის დაწყების დღე - 22 დეკემბერი, დაწესებულ იქნეს - მონანიებისა და ურთიერთმიტევების დღედ.

ეკლესიის წიაღიდან მომდინარე, ღვთაებრივ სწავლებაზე დაფუძნებული, მონანიებისა და ურთიერთმიტევების მოწოდება, ხელს შეუწყობს ამოავსოს, ხსენებულ ტრაგედიაში მონაწილე დაპირისპირებულ მხარეთა შორის გაჩენილი, გაუცხოების უფსკრული.

ყველამ კარგად უნდა გავიცნობიეროთ, რომ განკითხვის დღეს აღსრულებული ღვთაებრივი სამსჯავრო, თითოეულ ჩვენთაგანს მიუკერძოებელ უფლისმიერ განაჩენს გამოუტანს, რამეთუ გვაფრთხილებს მაცხოვარი:

- „... მე გეუბნებით თქვენ: ყოველი ფუჭი სიტყვისათვის, რომელსაც იტყვიან კაცნი, პასუხს აგებენ ისინი განკითხვის დღეს. ვინაიდან შენი სიტყვებით გამართლდები, და შენივე სიტყვებით განიკითხები“-ო (მათე 12,36-37).

22 დეკემბერს დაწესებული მონანიებისა და ურთიერთმიტევების დღე, საქართველოს ყველა მაცხოვრებლისათვის უნდა იქცეს იმ დაფიქრების დღედ, როდესაც ყველას მოეცემა შესაძლებლობა - მოინანიოთ, ქვეყნის წინაშე ჩადენილი ჩვენი წილი დანაშაული, და მივუტევოთ ერთმანეთს ნებსით თუ უნებლიე შეცოდებანი, რათა ღმერთმა ჩვენც მოგვანიჭოს შენდობით გამოწვეული მადლისმიერი სიხარული.

## 1.2. თუ თქვენც ჩვენსავით თვლით, რომ საჭიროა 1992 – 2012 წლებში საქართველოში მომქმედი დანაშაულებრივი რეჟიმისა და მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობის საქმიანობის პოლიტიკური შეფასება, მაგრამ არ იცით როგორ უნდა გადაიჭრას ეს საკითხი, მხარი დაუჭირეთ „უფლის სახელით...“ მომავალი პოლიტიკური გუნდის საარჩევნო პროგრამას, და არჩევნებში გამოხატული მხარდაჭერით მოგვეცით მისი განხორციელების შესაძლებლობა

ზემოთქმულის განხორციელების მექანიზმი ასეთია:

თუკი თქვენც თვლით, რომ 1991 წ. 22 დეკემბრიდან დაწყებული შეიარაღებული გამოსვლებით მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების გზით საქართველოს ხელისუფლებაში მოსული კრიმინალური ძალის - 1992 წ. 2 იანვარს შექმნილი ე.წ. „სამხედრო საბჭოსა“ და „დროებითი მთავრობის“, აგრეთვე 1992 წლის 10 მარტს შექმნილი ე.წ. „სახელმწიფო საბჭოს“ სამართალმემკვიდრეთა მიერ - 1992, 1995, 1999, 2000, 2003, 2004 და 2008 წლების

საპარლამენტო და საპრეზიდენტო ე.წ. „არჩევნები“, არა მარტო უკანონოდ, არამედ ტოტალური გაყალბებით იქნა ჩატარებული, და შესაბამისად ამ გზით ხელისუფლების სათავეში მოკალათებული ძალა ვერ (და არ) გამოხატავდა საქართველოში მაცხოვრებელთა უმრავლესობის ნებას;

თუკი თქვენც თვლით, რომ 2003 წლის ნოემბერში, ე.წ. „ვარდების რევოლუციამ“, მხოლოდ ფორმალურ-იურიდიულად ჩაანაცვლა 1992-2003 წლების უკანონო ხელისუფლება, და ქვეყნის სათავეში, წინა პოლიტიკური რეჟიმის სამართალმემკვიდრე, იმ სახეცვლილი უკანონო ძალის მოსვლა განაპირობა, რომლის ცხრაწლიანი მმართველობის დროსაც - არნახულ დონეს მიაღწია ადამიანის უფლებათა და მორალურ ფასეულობათა მასიური დარღვევის ფაქტებმა; ახალ ხარისხში იქნა აყვანილი ქვეყნის ტერიტორიული რღვევის პროცესი; ეკონომიკური საფუძვლების მოშლამ უკიდურესობამდე გააუარესა მოსახლეობის უმრავლესობის ცხოვრების დონე;

თუკი თქვენც თვლით, რომ საქართველოში 1991 – 1992 წლებში მომხდარი სამხედრო გადატრიალების შემდგომად დამყარებული პოლიტიკური რეჟიმის ფუძემდებლების:

ერთის მხრივ - ედუარდ შევარდნაძისა და მის მიერ დაარსებული პოლიტიკური გაერთიანების „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“; და

მეორეს მხრივ - მიხეილ სააკაშვილისა და მის მიერ დაარსებული პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი საქმიანობის სიმძიმემ, უმძიმესი კვალი დატოვა საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ერის ისტორიაში,

მაშინ საჭიროა, რათა:

ა) 1991 წ. 22 დეკემბრიდან დაწყებული შეიარაღებული გამოსვლებით მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების გზით საქართველოს ხელისუფლებაში მოსული კრიმინალური ძალის სამართალმემკვიდრეთა მიერ 1992 წ. 2 იანვრიდან - 2012 წ. 1/25 ოქტომბრამდე დამყარებული პოლიტიკური რეჟიმის საქმიანობა, კაცობრიობისა და საქართველოს მოსახლეობის წინაშე, შეფასებულ იქნეს, როგორც - დანაშაულებრივი;

ბ) პოლიტიკური გაერთიანებების - „საქართველოს მოქალაქეთა კავშირისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაარსებიდან მოყოლებული, ვიდრე - 2012 წლის 1/25 ოქტომბრამდე, ყველა იმ პირს, რომელიც ამ პარტიათა წევრის სტატუსით გახლდათ ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრი, კერძოდ:

- საქართველოს პარლამენტის დეპუტატი; - საქართველოს სახელმწიფო მინისტრი [პრემიერ-მინისტრი]; - მინისტრი; - მინისტრის მოადგილე; - მთავრობის წევრი; - მხარის რწმუნებული [გუბერნატორი], მისი მოადგილე; - ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის: მერი, მერის მოადგილე, გამგებელი, გამგებლის მოადგილე, საკრებულოებში ანაზღაურებად თანამდებობაზე მომუშავე დეპუტატი,

ამ კანონის ძალაში შესვლიდან 5 წლის მანძილზე, აეკრძალოს - საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ გაერთიანებებში ყოფნის, საჯარო სამსახურსა და სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობის უფლება.

გ) 2012 წ. 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობი“-ს წევრის სტატუსით დეპუტატის მანდატის მომპოვებელ ყველა პირს შეუწყდეს სადეპუტატო უფლებამოსილება.

## 1.3. თუ თქვენც ჩვენსავით თვლით, რომ 1992 – 2012 წლებში საქართველოში მოქმედმა დანაშაულებრივმა რეჟიმებმა მიიღეს ჩვენი ქვეყნის ნორმალური განვითარების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები, მაგრამ არ იცით როგორ მოხდეს მათი სამართლებრივი გაუქმება მხარი დაუჭირეთ „უფლის სახელით...“ მომავალი პოლიტიკური გუნდის საარჩევნო პროგრამას, და არჩევნებში გამოხატული მხარდაჭერით მოგვეცით მისი განხორციელების შესაძლებლობა

კანონიერი იურიდიული მექანიზმის ბაზაზე ჩატარებულ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულმა პოლიტიკურმა გუნდმა, უნდა დაადასტუროს:

ა) 1990 წ. 28 ოქტომბრის მოწვევის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1992 წ. 13 მარტს მიღებული დადგენილების [„აქტების თაობაზე, რომლებიც მიიღო ეგრეთ წოდებულმა სამხედრო საბჭომ, დროებითმა მთავრობამ და სახელმწიფო საბჭომ“] კანონიერება, კერძოდ:

„...ე წ. სამხედრო საბჭოს, დროებითი მთავრობის, სახელმწიფო საბჭოსა და მისი სამართალმემკვიდრე უკანონო სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მიღებული აქტები ანულირებულია, ანუ ჩათვლილია გაუქმებულად და საქართველოს მოქალაქეებისათვის არ გააჩნიათ აუცილებელი იურიდიული ძალა...“.

ბ) 2003/2004 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წ. 11 მარტს მიღებული დადგენილების [„1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ“] მართებულობა, კერძოდ:

„...საქართველოს პარლამენტი კვლავ ადასტურებს 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების (შეიარაღებული ძალების ჩათვლით) და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობას სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში....“, და

მიიღოს სპეციალური დადგენილება, რომლის ძალითაც

- უკანონოდ და ბათილად უნდა გამოცხადდეს: 1992 – 2012 წლებში საქართველოში მოქმედი დანაშაულებრივი პოლიტიკური რეჟიმის მიერ მიღებული ყველა ის სამართლებრივი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება 1991 წლის 31 მარტს სრულიად საქართველოს მოსახლეობის მიერ რეფერენდუმით გამოხატულ ნებასა და 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

## 1.4. თუ თქვენც ჩვენსავით თვლით, რომ 1991-1992 წლების მოვლენების გამო გამრუდდა ქართული სახელმწიფოს ნორმალური განვითარების ხაზი, მაგრამ არ გაქვთ პასუხი თუ როგორ უნდა აღდგეს დარღვეული კანონიერება მხარი დაუჭირეთ „უფლის სახელით...“ მომავალი პოლიტიკური გუნდის საარჩევნო პროგრამას, და არჩევნებში გამოხატული მხარდაჭერით მოგვეცით მისი განხორციელების შესაძლებლობა

საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, ხელისუფლებაში კანონიერად მოსვლისათვის აუცილებელია, არჩევნები იყოს - ნამდვილი, პერიოდული და დემოკრატიული.

საქართველოში 1991-1992 წლების გასაყარზე მომხდარი სამხედრო გადატრიალების შედეგად დარღვეული სამართლიანობისა და კანონიერების მშვიდობიანი გზით აღსადგენად, აუცილებელია შეიქმნას გარკვეული წინაპირობა ისეთი არჩევნების ჩასატარებლად, რომელიც იქნება - კანონიერი და ჭეშმარიტად დემოკრატიული, რაც, თავის მხრივ, გახდება კიდეც ქვეყნის სათავეში - კანონიერი ხელისუფალის მოსვლა-დამკვიდრების საფუძველი.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა გამოიკვეთოს - კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის მატარებელი ორგანო.

„საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის“ (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 26 ნოემბერი, 1991 წ.) 112-ე მუხლის თანახმად:

- „... საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი თავის უფლებამოსილებას ინარჩუნებს ახლად არჩეულ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სხდომამდე“.

ამდენად, 1991-1992 წლების მოვლენების შედეგად დამხობილი კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეა - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დღეისათვის, საქართველოს სახელმწიფოს სამართლებრივ სივრცეში ორი სახელისუფლო შტო ფიქსირდება:

1. 1990 წლის 28 ოქტომბერს კანონიერად ჩატარებული არჩევნების გზით არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭო, რომლის უფლებამოსილებასაც, 1991 წლის 26 ნოემბერს გამოქვეყნებული (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ.) – „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის“ 112-ე მუხლის შესაბამისად, ახორციელებს - საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი; და

2. 1991-1992 წლების გასაყარზე მომხდარი სამხედრო გადატრიალების გზით ხელისუფლებაში უკანონოდ დამკვიდრებული „სამხედრო საბჭოსა“ და „სახელმწიფო საბჭოს“ სამართალმემკვიდრე – 1992, 1995, 1999, 2003/2004, 2008 და 2012 წლების არჩევნების გზით ფორმირებული, სამართლებრივი თვალსაზრისით უკანონო, მაგრამ დე-ფაქტოდ არსებული პარლამენტი.

**საქართველოში კანონიერი არჩევნების დანიშვნისათვის ერთ-ერთ უმთავრეს პირობად გვესახება:**

ა) საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფალის, საქართველოს 2012 წლის 1 ოქტომბრის მოწვევის პარლამენტის მხრიდან შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

ზემოთხსენებული გადაწყვეტილებების [1991-1992 წ.წ. მოვლენებისა და ე.წ. შევარდნაძე-მ.სააკაშვილის პოლიტიკური რეჟიმების შეფასება; უკანონო აქტების გაუქმება] მიღების შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა დე-იურედ უნდა ცნოს იარაღის ძალით გაუქმებული, მაგრამ იურიდიული თვალსაზრისით მოქმედი - „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის“ 112-ე მუხლის შინაარსი, რომ - „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი თავის უფლებამოსილებას ინარჩუნებს ახლად არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სხდომამდე“.

ბ) საქართველოს რესპუბლიკის დევნილი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ უნდა გაცხადდეს, რომ:

1. საქართველოში მომხდარი დეკემბერ-იანვრის მოვლენების ყველა ის მონაწილე, რომელიც იარაღის ძალით არ იბრძოდა და არ არის გარეული საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში, უნდა განთავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან;

2. ეყრდნობა რა „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში“ (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 26 ნოემბერი, 1991 წ.) ახალი არჩევნების დანიშვნის დარეგულირების ამსახველ დებულებებს [„მუხლი 97, 104, 106], მზადაა ითანამშრომლოს საქართველოში დე-ფაქტოდ მომქმედ 2012 წლის 1 ოქტომბრის მოწვევის პარლამენტთან - საქართველოში კანონიერი არჩევნების დანიშვნისათვის, „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით“ განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

გ) საქართველოს რესპუბლიკის დევნილი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოში ფაქტობრივად მოქმედი საქართველოს პარლამენტის ერთობლივი გადაწყვეტილებით:

1. საქართველოს პარლამენტის მომავალი არჩევნებისათვის, საბაზისო

დოკუმენტად აღებული უნდა იქნეს ის საარჩევნო კანონი, რომლის მიხედვითაც ჩატარდა - 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები, ანუ გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი რამდენიმე ძირითადი მოთხოვნა, კერძოდ:

- საქართველოში უნდა ჩატარდეს საყოველთაო, მრავალპარტიული, შეუზღუდავი, დემოკრატიული არჩევნები;

- იმისათვის, რომ არჩევნები იყოს საყოველთაო, იგი ჩატარებულად უნდა ჩაითვალოს თუ მასში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს კანონიერი მოსახლეობის მინიმუმ: 50%;

- საარჩევნო კომისია დაკომპლექტებული იქნება არჩევნებში მონაწილეობის მსურველი (უფლებამოსილი) პოლიტიკური პარტიების თითო წარმომადგენლისაგან.

2. საქართველოში ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად:

საქართველოს რესპუბლიკის დევნილი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოში ფაქტობრივად მოქმედი საქართველოს პარლამენტის ერთობლივი კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით მომზადებული საარჩევნო კანონი, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობის შემდეგ, უნდა დაამტკიცოს - საქართველოს დე-ფაქტოდ მომქმედმა პარლამენტმა;

3. საქართველოს რესპუბლიკის დევნილი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობით საქართველოს პარლამენტმა უნდა დანიშნოს არჩევნები.

ზემოთქმულ პრინციპებზე დაყრდნობით არჩეული საქართველოს პარლამენტი გახდება არა - ანტიკონსტიტუციური გზით ძალაუფლების მომპოვებელი ხელისუფალის უბრალო გამგრძელებელი, არამედ - 1991-1992 წლების მოვლენების შედეგად დარღვეული კანონიერი სახელისუფლო შტოს სამართალმემკვიდრე ლეგიტიმაციის მატარებელი ძალა.

## თავი 2.
## საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების ორი სტრატეგიული საკითხი: მართლმადიდებლობა და სამხედრო ნეიტრალიტეტი

### 2.1 მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება

1991-1992 წლების გასაყარიდან განვითარებული მოვლენებისათვის სათანადო პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება, და მასზე დაყრდნობით საქართველოში სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობის საკითხის მოგვარება, როგორც აღინიშნა, ჩვენი ქვეყნისათვის - ჩადენილი ცოდვების მონანიებისა და სულიერი განწმენდისაკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

ქრისტეს კვართის დაფვლისა და ღვთისმშობლის წილხვედრილობის უდიდეს ზეციურ მადლს ზიარებული საქართველო, ძირითადად, მართლმადიდებლობითი აღმსარებლობის მქონე მკვიდრი მოსახლეობისაგან შემდგარი ქვეყანა გახლავთ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ანუ სულიერად განწმენდის

ტოლფასი პოლიტიკურ-სამართლებრივი ნაბიჯების გადადგმის შემდეგ, უკვე ზნეობრივი უფლება გვექნება, რათა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მქონე **საქართველოში - მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდეს.**

მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებული დამოუკიდებელი საქართველო, ქართული სახელმწიფოებრივი ულის გამწევ იმ ერთიანი სხეულის მქონე ძალად იქცევა, რომლის მიერ კაცობრიობის ისტორიაში გაკვალული გზასავალი, საუკუნეების მანძილზე ნასაზრდოები იდეის აღსრულებით - საქართველოს გაბრწყინებით უნდა დასრულდეს.

ამასთანავე, საქართველოში მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება, არამედ დღევანდელი დღისათვის მსოფლიოში არსებული რეალობა.

ამ მიზნით, უნდა შეიქმნას - „**საქართველოში მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისათვის საჭირო საკითხების მოსამზადებელი კომისია**". რომელშიც, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის მიერ გამოყოფილი წევრების გარდა, გაერთიანდება საქართველოს საზოგადოებრივი, სამეცნიერო და პოლიტიკური სექტორის წარმომადგენლები.

საქართველოში მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემთხვევაში საჭირო გახდება მთელი რიგი საკონსტიტუციო ცვლილებათა განხორციელება, კერძოდ

საქართველოს კონსტიტუციაში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995, 31-33, მუხ. 668) შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მუხლი 9

„1. საქართველოში მართლმადიდებლობა გამოცხადებულია სახელმწიფო რელიგიად, რაც განპირობებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლით საქართველოს ისტორიაში.

2. მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება არ ხელყოფს სხვა რელიგიების აღმსარებელთა, აგრეთვე ათეისტთა მოქალაქეობრივ უფლებებს. საქართველოს სახელმწიფო კვლავაც ერთგულია ტრადიციული რელიგიური შემწყნარებლობისა.

3. სახელმწიფოს მიერ გარანტირებულია სინდისის თავისუფლება და თითოეულ პიროვნებას უფლება აქვს იყოს აღმსარებელი იმ სარწმუნოებისა, რომელსაც თავად აღიარებს.

4. საქართველოს მოქალაქეთა უფლებები არ იზღუდება რელიგიის ნიშნით.".

2. 92-ე მუხლს დაემატოს 11 პუნქტი, რომელიც ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მუხლი 92

$1^{1}$. საქართველოში მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა გამო, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის გამოყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში დაფიქსირებული საერთო შემოსავლების - **ათი პროცენტი**.".

## 2.2 საქართველოს სამხედრო ნეიტრალიტეტის საკითხი

კავკასიის რეგიონში ცენტრალური ქვეყნის ბუნებრივად ბოძებული სტატუსი, საქართველოს სახელმწიფოსა და აქ მაცხოვრებელი - ქართველი, თუ სხვა ერის წარმომადგენელთათვის, სიკეთესთან ერთად, არაერთხელ გამხდარა, სხვადასხვა იმპერიული ამბიციის მქონე ძალის მხრიდან ჩვენი მიწის დაუფლების თუ არა, მასზე ჰეგემონიის მოპოვების სურვილიდან გამომდინარე, თავსდამტყდარი უბედურების მიზეზი.

ვინ-ვინ და ჩვენმა ქვეყანამ, მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიული მახსოვრობის მატარებელმა ქართველმა ერმა, დიახაც რომ კარგად ვიცით მშვიდობის ფასი...

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებიდან მოყოლებული, ჩვენს ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა დღის წესრიგში დააყენა, ჩვენს წინ მდგარი ორი გზიდან - უკეთესის არჩევის აუცილებლობა:

- საქართველოს სახელმწიფომ, უნდა გაითვალისწინოს რა: კავკასიის რეგიონში ჩვენი ქვეყნის გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა ინტერესი, ცალსახად უნდა თქვას უარი სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე ძალთა დაპირისპირების სავარაუდო პოლიგონად ქცევის ალბათობაზე;

- საქართველოს სახელმწიფომ პირველმა უნდა დააფიქსიროს ნეიტრალიტეტისაკენ მტკიცე ნაბიჯის გადადგმის სურვილი, რომელიც უდავოდ შეიტანს წვლილს, გეოპოლიტიკური დაპირისპირების - მშვიდობიანად და ყველასათვის მისაღებად მოგვარების საქმეში;

- საქართველო: აქტიური სამხედრო ნეიტრალიტეტის მქონე სახელმწიფო უნდა გახდეს!

ზემოთქმულის რეალიზებისათვის საჭიროა, რომ კონსტიტუციის პირველი თავის პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მეოთხე ქვეპუნქტი:

„4. საქართველო არის მუდმივი სამხედრო ნეიტრალიტეტის მქონე სახელმწიფო".

ჩვენი ქვეყნის ათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე ვაცხადებთ: საქართველო უნდა გახდეს - მუდმივი სამხედრო ნეიტრალიტეტის მქონე სახელმწიფო.

ზემოთქმულიდან გამომდინარე:

- საქართველო არასოდეს გახდება რომელიმე სამხედრო ან სამხედრო-პოლიტიკური კავშირისა თუ ბლოკის წევრი;

- საქართველო არასოდეს დაუთმობს თავის ტერიტორიას, მეორე სახელმწიფოს, შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო ბაზების განლაგებისათვის;

- საქართველო არასოდეს დაუშვებს თავის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის ჯარის, იარაღისა თუ სამხედრო ქონების ტრანსპორტირებას;

- საქართველო არასოდეს შეუწყობს ხელს, სამხედრო დაპირისპირებული მხარეების დახმარების მიზნით რაიმენაირი სამხედრო ფორმირების და მოხალისეთა გაერთიანებების შექმნას;

- საქართველოს შეიარაღებული ძალები არასოდეს და არანაირი ფორმით

არ ჩაერთვება სამხედრო დაპირისპირებაში მყოფი რომელიმე მხარის სასარგებლოდ მიმართულ ქმედებებში;

- საქართველო ყველაფერს გააკეთებს, რათა მუდმივი სამხედრო ნეიტრალიტეტის მქონე სახელმწიფოს პოზიციიდან გამომდინარე, თავისი წვლილი შეიტანოს სამხედრო დაპირისპირებაში მონაწილე მხარეების მშვიდობიანად მორიგების პროცესის წარმატებით დაგვირგვინების საქმეში.

ხელმძღვანელობთ რა მუდმივი სამხედრო ნეიტრალიტეტის მქონე ქვეყნის სტატუსის მოპოვების სურვილით, წინადადებით მივმართავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რათა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივ (და არამუდმივ) წევრთა წინაშე დაისვას საკითხი, მათი მხრიდან, საქართველოს მუდმივი სამხედრო ნეიტრალიტეტის - გარანტორებად დადგომის თაობაზე;

ხელმძღვანელობთ რა მუდმივი სამხედრო ნეიტრალიტეტის მქონე ქვეყნის სტატუსის მოპოვების სურვილით, წინადადებით მივმართავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ (და არაწევრ) ყველა სახელმწიფოს, რათა - ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების დადებით, მოხდეს საქართველოს მუდმივი სამხედრო ნეიტრალიტეტის მქონე სახელმწიფოს სტატუსის ცნობა და მხარდაჭერა;

მუდმივი სამხედრო ნეიტრალიტეტის მქონე საქართველო იმედს იტოვებს, რომ თითოეულ სახელმწიფოსთან, შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების დადებით მიღებული გარანტია, გახდება იმის მყარი საფუძველი, რომ საქართველოს - არასოდეს დასჭირდება, საერთაშორისო სამართლის მიხედვით მისთვის მინიჭებული უფლების - შეიარაღებული ძალების მეშვეობით მოიგერიოს თავდასხმები მის ნეიტრალიტეტზე - გამოყენება;

მუდმივი სამხედრო ნეიტრალიტეტის მქონე საქართველო ყველაფერს გააკეთებს, რათა თავადვე გახდეს მსოფლიოში მშვიდობის დამყარების აქტიური ხელშემწყობი და სხვათათვის მაგალითის მიმცემი ქვეყანა.

დე, ღმერთი ყოფილიყოს უზენაესის განუსაზღვრელი ძალის მოიმედე საქართველოსა და ყველა ასეთი ქვეყნის მფარველი. ამინ!

## თავი 3.
## 1992 – 2012 წლებში საქართველოში გამეფებული დანაშაულებრივი რეჟიმის ქმედებებით დაზარალებული მოსახლეობის გასაბონად სათქმელი

ქვეყნის წინაშე მდგარი არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარების პარალელურად, ქვეყნის სათავეში კანონიერად მოსული ხელისუფალი ვალდებულია, შესაბამისი სამართლებრივი ფონის შექმნით, შეიმუშაოს კონკრეტული მექანიზმი 1992 -2012 წლების განმავლობაში, ერთის მხრივ - ედ. შევარდნაძისა, და მეორეს მხრივ - მ. სააკაშვილის, ზ. ჟვანიას, ნ. ბურჯანაძისა და დ. ბაქრაძის მიერ დამყარებული დანაშაულებრივი რეჟიმის მიერ დამკვიდრებული არაჯანსაღი საკანონმდებლო გადაწყვეტილებათა გამო დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

## 3.1 თუ თქვენ იპოთეკით დაზარალებულთა კატეგორიას მიეკუთვნებით და არ იცით, როგორ შეიძლება თავი დააღწიოთ შექმნილ პრობლემებს, მხარი დაუჭირეთ „უფლის სახელით..." მომავალი პოლიტიკური გუნდის საარჩევნო პროგრამას, და არჩევნებში გამოხატული მხარდაჭერით მოგვეცით მისი განხორციელების შესაძლებლობა

ჩვენს მიერ შემუშავებული, აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის მექანიზმი ითვალისწინებს, პარლამენტის შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული, მთავრობის შემდეგი სამოქმედო გეგმის მიღებას:

საქართველოში 1992 – 2012 წლების განმავლობაში მომქმედი დანაშაულებრივი პოლიტიკური რეჟიმის მიერ შექმნილი არაჯანსაღი სამართლებრივი სივრცის გამო იპოთეკით დაზარალებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით - საქართველოს ფინანსთა მინისტრის ხელმძღვანელობით უნდა შეიქმნას - „საქართველოში 1992 – 2012 წლების განმავლობაში მომქმედი დანაშაულებრივი პოლიტიკური რეჟიმის მიერ იპოთეკით დაზარალებულთა საკითხის დარეგულირების მექანიზმის შემსწავლელი კომისია", რომელიც გამოიკვლევს:

1. იპოთეკართა საერთო რაოდენობას;
2. იპოთეკართა მიერ საბანკო და სხვა საფინანსო სექტორში [როგორც ფიზიკური,ისე იურიდიული პირი] იპოთეკის ხელშეკრულებით აღებული [მოძრავი თუ უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი] სესხის საერთო ოდენობას;
3. იპოთეკართა მიერ საბანკო და სხვა საფინანსო სექტორში [როგორც ფიზიკური,ისე იურიდიული პირი] იპოთეკის ხელშეკრულებით აღებული სესხის, სახელმწიფოს მიერ შიდა ვალად აღიარების მექანიზმს;
4. იპოთეკარებისათვის შესათავაზებელი სესხის საპროცენტო განაკვეთისა და ვადების ოპტიმალურ მაჩვენებელს;
5. საბიუჯეტო კანონში იპოთეკართათვის დაბალპროცენტიანი და გრძელვადიანი სესხის გაცემის ფინანსური უზრუნველყოფისათვის საჭირო წლიურ მაჩვენებელს;
6. 1992 – 2012 წლების განმავლობაში მომქმედი დანაშაულებრივი პოლიტიკური რეჟიმის მიერ დაზარალებული მოსახლეობის - „იპოთეკარების დახმარების არასამთავრობო ფონდი"-ს შექმნის საკითხს.

## 3.2 თუ თქვენ მიეკუთვნებით - სოციალურად დაუცველი, იპოთეკით დაზარალებული, ემიგრანტების, დევნილების, მშობლების მზრუნველობამოკლებული სრულწლოვანი ახალგაზრდების კატეგორიას და არ იცით, როგორ შეიძლება თავი დააღწიოთ შექმნილ პრობლემებს,

## მხარი დაუჭირეთ „უფლის სახელით..." მომავალი პოლიტიკური გუნდის საარჩევნო პროგრამას, და არჩევნებში გამოხატული მხარდაჭერით მოგვეცით მისი განხორციელების შესაძლებლობა

1990 - 1991 წ.წ. დაწყებული ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი განვითარების ხაზი, გარე და შიდა ძალების მხრიდან გამოვლენილი დანაშაულებრივი ქმედებების გამო - გამრუდდა.

1992 -2012 წლების განმავლობაში საქართველოში დამკვიდრებული, ერთის მხრივ - ედ. შევარდნაძისა, და მეორეს მხრივ - მ. სააკაშვილის, ზ. ჟვანიას, ნ. ბურჯანაძისა და დ. ბაქრაძის მიერ დამყარებული დანაშაულებრივი რეჟიმის საქმიანობამ, კიდევ უფრო მეტად დაამძიმა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრება:

- სამართლებრივი სივრცის არასწორმა განვითარებამ, ეკონომიკური გარემოს დამძიმება და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის [დროებითი] დარღვევა გამოიწვია;
- გაუსაძლისი პოლიტიკური, ეკონომიკური ან პირადი მიზეზების გამო უცხო ქვეყანაში მცირე ხნით ან მუდმივად საცხოვრებლად წამსვლელთა დიდ ნაკადსა და ეკომიგრანტთა ჯგუფს, თავისი საცხოვრებელი ადგილებიდან იძულებით გადაადგილებულთა ნახევარმილიონიანზე მეტი ლტოლვილთა არმია შეემატა;
- საქართველოში ფეხმოკიდებულმა ეკონომიკურმა სიდუხჭირემ არნახულად გაზარდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ხვედრითი წილი;
- დანაშაულებრივი საბანკო პოლიტიკის შედეგად ქვეყანაში ჩამოყალიბდა იპოთეკით დაზარალებული საქართველოს მოქალაქეთა მრავალათასიანი ჯგუფი;
- მიზეზთა გამო მშობლების მზრუნველობამოკლებულ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც 18 და მეტი წელი შეუსრულდათ, დღემდე მოქმედი კანონმდებლობით, ფაქტობრივად, ქუჩაში წასვლა უწევთ;
- დამძიმებულმა ეკონომიკურმა გარემომ, გაუმართავმა ინფრასტრუქტურამ ნოყიერი ნიადაგი შექმნა მთიანი რეგიონების დაცარიელებისათვის; და ა.შ.

ზემოთხსენებული მდგომარეობიდან გამოსასვლელად საჭირო ქმედითი ზომების განხორციელების საქმეში, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მიერ გადასადგმელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯად გვესახება, ჩვენი მიერ შემუშავებული წინადადების - „საქართველოში მთიანი რეგიონების ეკონომიკური და დემოგრაფიული პრობლემების დარეგულირებისათვის - „განსახლების ფონდი"-ს შექმნის თაობაზე" რეალიზება.

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა პაკეტით განსაზღვრული - „განსახლების ფონდის" საქმიანობა, უნდა დაემყაროს ორი უმთავრესი მიზნის განხორციელებას:

- სოციალურად დაუცველი, იპოთეკით დაზარალებული, ეკომიგრანტების, დევნილების, მშობლების მზრუნველობამოკლებული სრულწლოვანი ახალგაზრდებისა და ჭარბი დასახლების მქონე რეგიონებში მცხოვრები

მოსახლეობის ოჯახებისათვის მთიან რეგიონებში ბინების შეძენითა და მუდმივ საკუთრებაში გადაცემის გზით, მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას; და

- დაცარიელებული, ან ნახევრად დაცარიელებული მთიანი რეგიონების აღორძინებისათვის საჭირო გარემო პირობების [ინფრასტრუქტურის განვითარება, მცირე თუ დიდი ინვესტიციების მოზიდვის გზით სამუშაო ადგილების შექმნა...] ჩამოყალიბებას.

ყოველივე ამისათვის, უნდა შეიქმნას: „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲓᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ“, რომელიც გამოიკვლევს:

- „ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ“ მიერ შეძენილი საცხოვრებელი ადგილის ხსენებული კატეგორიის ოჯახებისათვის საკუთარ მფლობელობაში გადაცემის საკითხს, პირველი ერთი წლის მანძილზე მასში მუდმივად ცხოვრების შემდეგ და ხუთი წლის მანძილზე გაყიდვის უფლების გარეშე;

- საქართველოს მთიან რეგიონებში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ამ რეგიონებში განსახლებული საქართველოს მოქალაქეთა ზემოხსენებული ნაწილისათვის - საგადასახადო შეღავათების, დემოგრაფიული დახმარების დაწესებისა და კომუნალური გადასახადების სრული სუბსიდირების შემოღების საკითხებს;

- „საქართველოში მთიანი რეგიონების ეკონომიკური და დემოგრაფიული პრობლემების დარეგულირებისათვის - „განსახლების ფონდი“-ს ეფექტური საქმიანობისათვის საჭირო ფინანსური უზრუნველყოფის საკითხს.

იმედს ვიტოვებთ, რომ ღვთის შეწევნითა და შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება - ზოგადად ქვეყანაში, და განსაკუთრებით მთიან რეგიონებში არსებული ეკონომიკური და დემოგრაფიული პრობლემების საბოლოო დაძლევა.

## 3.3 ᲗᲣ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲡᲐᲕᲘᲗ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲣᲛᲫᲘᲛᲔᲡᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲐᲤᲘᲥᲠᲐᲚ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲓᲠᲝ, ᲓᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲭᲠᲐᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ, ᲛᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲔᲗ „ᲣᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ...“ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲡ, ᲓᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ ᲛᲝᲒᲕᲔᲪᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ

დემოგრაფიული პრობლემატიკით დაკავებულ მკვლევართა ერთსულოვანი შეფასებით, ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველო - დემოგრაფიული დაბერების პროცესშია, რაც გამოიხატება - მოსახლეობაში ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფების შემცირებასა და 60 წელზე უხნესი მოსახლეობის წილის მატებაში.

მიზეზთა გამო, ქართველი ერი - ფიზიკური შემცირების, ანუ - გადაშენების საფრთხის წინაშე დგას.

საქართველოს საპატრიარქოს მიერ - დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ გადადგმული ღონისძიებების პარალელურად, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდანაც გადაიდგეს დემოგრაფიული სურათის დადებითად შეცვლისათვის საჭირო ქმედითი ნაბიჯები.

ჩვენის აზრით, შესამუშავებელია კონკრეტული საკანონმდებლო მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს დედას - დაუბრუნდეს ოჯახს და მაქსიმალურად ჩაერთოს შვილების აღზრდაში.

ჩვენს მიერ შემუშავებული წინადადების არსი შემდეგშია:

ქართული კანონმდებლობით განსაზღვრული იმ რეგულაციის პარალელურად, რომლითაც ორსული და მეძუძური დედის უფლებებია გამოკვეთილი, საჭიროდ მიგვაჩნია საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს, სახელმწიფო საჯარო სამსახურში მყოფი სკოლის ასაკის შვილიანი დედისათვის სამუშაო ხანგრძლივობის განახევრების პირობებში, მისთვის - სრული განაკვეთის ტოლფასი ანაზღაურების შენარჩუნების მექანიზმი.

სახელმწიფოს მიერ კანონით გამყარებული ხსენებული რეგულაცია, სკოლის ასაკის შვილის მყოლ დედას, შესაძლებლობას მისცემს - დაუბრუნდეს ოჯახს და სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის შემდგომი დროის მანძილზე მაქსიმალურად გაახანგრძლივოს შვილთან ურთიერთობის დრო.

აღნიშნული კანონმდებლობა, შესაძლებლობას მისცემს თითოეულ ოჯახს - დაგეგმოს ურთიერთთანაცხოვრების მთელი დროის მანძილზე შვილების ყოლისა და მათი სათანადო აღზრდისათვის საჭირო ქმედებები.

ზემოთქმულის პრაქტიკული რეალიზებისათვის, კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს შემდეგი რეგულაცია:

- საქართველოს კანონში „საჯარო სამსახურის შესახებ“ (პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997, გვ. 55) შეტანილი უნდა იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 34-ე მუხლის პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკონკურსო-საატესტაციო კომისია ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წამოაყენებს ერთ-ერთ კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წამოყენებაზე.

თანაბარი პირობების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ სასკოლო ასაკის შვილის მყოლ ქალს“.

2. 37-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს, შემდეგი შინაარსის $1^1$ პუნქტი:

„$1^1$. სასკოლო ასაკის შვილის მყოლი ქალის შრომის ანაზღაურება ტოლია სამუშაოს სრულ განაკვეთზე მომუშავე დასაქმებულის შრომითი ანაზღაურებისა.“.

3. მე-40 მუხლის მეორე პუნქტს დაემატო, შემდეგი შინაარსის $2^1$ პუნქტი:

„$2^1$. სასკოლო ასაკის შვილის მყოლი ქალის სამუშაო დროის ხანგრძლივობა, მისი თანხმობის შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 20 საათს, ხოლო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც წარმოების/შრომითი პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს, – კვირაში 24 საათს.“.

- საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №75, 27.12. 2012 წ., მუხ. 461] შეტანილი უნდა იქნეს შემდეგი ცვლილება:

2. მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აკრძალულია ორსული, ახალნამშობიარები ან სასკოლო ასაკის შვილის მყოლი ქალის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, არასრულწლოვნის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე.“.

3. მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აკრძალულია ღამის სამუშაოზე (22 საათიდან 6 საათამდე) არასრულწლოვნის, ორსული, ახალნამშობიარები ან მეძუძური ქალის დასაქმება, ხოლო 3 წლამდე ასაკის ბავშვის მომვლელის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე სასკოლო ასაკის შვილის მყოლი ქალის დასაქმება – მისი თანხმობის გარეშე“.

ერთის მხრივ საქართველოს კანონში - „საჯარო სამსახურის შესახებ“, და მეორეს მხრივ საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსში“ შესატანი ცვლილების შემცველი წინადადების გათვალისწინება, უდავოდ შეიტანს წვლილს ყოველივე ზემოთქმული ნაბიჯის რეალიზების საქმეში.

## 3.4 თუ თქვენ ჩვენსავით ფიქრობთ, რომ საქართველოს მოქალაქის ე.წ. „ჩიპიანი“ პირადობის მოწმობის არსებობა ლახავს თქვენს რელიგიურ შეხედულებებს და არ იცით, როგორ შეიძლება გადაიჭრას შექმნილი პრობლემა, მხარი დაუჭირეთ „უფლის სახელით...“ მოძრავი პოლიტიკური გუნდის საარჩევნო პროგრამას, და არჩევნებში გამოხატული მხარდაჭერით მოგვეცით მისი განხორციელების შესაძლებლობა

საქართველოში 2002 წლის აღწერის მონაცემებით, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობამ - 4. 601. 534 შეადგინა. ამათგან, აღმსარებლობის მიხედვით, ზოგადი მონაცემი ასეთია:

მართლმადიდებლური აღმსარებლობის მიმდევარია, მოსახლეობის - 3.880.000, ანუ მოსახლეობის - 84,32%

კათოლიკური აღმსარებლობისაა - 95.000, ანუ მოსახლეობის - 2%

მუსულმანური აღმსარებლობისაა - 400.000, ანუ მოსახლეობის - 8,7%

გრიგორიანული აღმსარებლობისაა - 200.000, ანუ მოსახლეობის - 4,35%

იუდაური აღმსარებლობისაა - 4.202, ანუ მოსახლეობის - 0,1%

ათეისტური პოზიციის მატარებელია - 22.332, ანუ მოსახლეობის - 0,5%

როგორც ვხედავთ, საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სხვადასხვა რელიგიური [ქრისტიანული, მუსულმანური, იუდაური და სხვა] აღმსარებლობის მიმდევარია, და მხოლოდ მცირე ნაწილია, რომელსაც არ სწამს ღმერთის, ანუ ათეიზმს აღიარებს.

როგორც ცნობილია, ხელისუფლების გადაწყვეტილებით - 2011 წლის 1 აპრილიდან გაიცემა მოქალაქეთა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მხოლოდ ე.წ. ჩიპიანი „აიდი ბარათები“.

ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ მორწმუნე მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ე.წ. ჩიპიან აიდი ბარათში თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის საფრთხეს ხედავს. იმ ფონზე, როდესაც:

- მოქმედი კანონმდებლობით მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, თუ ვინ არის უფლებამოსილი, ფლობდეს აიდი ბარათზე დატანილ ინფორმაციას, ამასთან
- ცნობილი არაა იმ უწყებათა ჩამონათვალი, ვისაც აქვს უფლება ამ ინფორმაციით სარგებლობისა, ხოლო
- კონფიდენციალობის დარღვევის შემთხვევაში, არ არის განსაზღვრული პასუხისმგებლობის ფორმები,

ჩნდება დიდი ეჭვი და საშიშროება იმისა, რომ დაირღვეს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საყოველთაოდ აღიარებული კონსტიტუციური უფლება.

გარდა ზემოთქმულისა, საქართველოში ალტერნატიული პირადობის დამადასტურებელი საშუალებების არ არსებობა, გარკვეულ წინააღმდეგობას უქმნის ამომრჩეველს, სხვადასხვა ტიპის არჩევნებში მონაწილეობისათვის.

როგორც ცნობილია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა, აიდი ბარათთან დაკავშირებით 2012 წ. 5 ივლისს მიღებულ გადაწყვეტილებაში ასე განსაზღვრა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი:

„სადღეისოდ წარმოდგენილი I ბარათის ვერსია საღმრთისმეტყველო და საეკლესიო სწავლების მიხედვით, არ არის ანტიქრისტეს ბეჭედი და აქედან გამომდინარე, ამ ბარათით სარგებლობა შესაძლებელია. მაგრამ, რადგანაც ეს საკითხი იწვევს საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას, ეთხოვოს საქართველოს მთავრობას, თუ არის შესაძლებელი, დაშვებულ იქნას ალტერნატიული პირადობის დამადასტურებელი საშუალებები."

ზემოთქმულს თუ დავუმატებთ საქართველოს მაცხოვრებელთა აბსოლუტური უმრავლესობის ნებას, რომელთათვისაც მიუღებელია საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ე.წ. ჩიპიანი „აიდი ბარათის" აღება, მაშინ აუცილებელია საქართველოს პარლამენტმა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება - „საქართველოში ალტერნატიული პირადობის დამადასტურებელი საბუთის დაწესების თაობაზე", და დაადგინოს - დღეს მოქმედი საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი ელექტრონული მოწმობის ჩიპიანი აიდი ბარათის პარალელურად, დაწესებული იქნეს ალტერნატიული - უჩიპო, საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

## 3.5 თუ თქვენ ჩვენსავით ფიქრობთ, რომ მ. სააკაშვილის ხელმძღვანელობით 2004-2012 წ.წ. მოქმედი დანაშავე პოლიტიკური რეჟიმის მიერ დამახინჯებული იქნა საკონსტიტუციო სამართლებრივი სივრცე და არ იცით, როგორ შეიძლება გადაიჭრას შექმნილი პრობლემა,

## მხარი დაუჭირეთ
## „უფლის სახელით...“ მომავალი პოლიტიკური გუნდის
## საარჩევნო პროგრამას,
## და არჩევნებში გამოხატული მხარდაჭერით
## მოგვეცით მისი განხორციელების შესაძლებლობა

1992 წ. 2 იანვარს შექმნილი კრიმინალური „სამხედრო საბჭოს“ სამართალმემკვიდრე 1992 წ. 11 ოქტომბრის მოწვევის საქართველოს პარლამენტმა 1995 წლის 24 აგვისტოს „საქართველოს კონსტიტუცია“ მიიღო [მიზეზთა გამო, ამჯერად არ შევეხებით აღნიშნული დოკუმენტის სამართლებრივ მხარეს].

1995 წლის 24 აგვისტოს რედაქციის „საქართველოს კონსტიტუციაში“ [თბილისი, №786-რს], 2004 წ. 6 თებერვლამდე შეტანილი იქნა 6 ცვლილება.

2003 წ. ნოემბერში ე.წ. ვარდების რევოლუციის გზით ხელისუფლებაში მოსულმა ჰგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურმა გუნდმა, 2004 წ. 6 თებერვლიდან მოყოლებული, მეთოდურად დაიწყო - 1995 წ. 24 აგვისტოს მიღებულ „საქართველოს კონსტიტუციაში“, თავისი ვიწრო პარტიული ინტერესების გამათვალისწინებელ ცვლილებათა განხორციელება.

2010 წელს განხორციელებულმა საკონსტიტუციო რეფორმამ თითქმის ძირეულად შეიცვალა კონსტიტუციით გათვალისწინებული სახელისუფლო ვერტიკალთა ურთიერთბალანსი. როგორც მოგეხსენებათ, ეს უკანასკნელი ემსახურებოდა მ. სააკაშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე პრემიერ-მინისტრის რანგში მოღვაწეობისათვის შესაბამისი პირობების შექმნას.

მ. სააკაშვილის ხელმძღვანელობით 2004-2012 წ.წ. მოქმედი დამნაშავე პოლიტი-კური რეჟიმის მიერ შექმნილ დამახინჯებულ საკონსტიტუციო სამართლებრივ სივრცეში დადებითი ბალანსის აღდგენის მიზნით, ამ ეტაპზე ოპტიმალურ გამოსავლად გვესახება 1995 წ. 24 აგვისტოს მიღებული „საქართველოს კონსტიტუციის“ იმ რედაქციის აღდგენა, რომელიც 2004 წ. 6 აგვისომდე მდგომარეობით გახლდათ დაფიქსირებული.

ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ უნდა მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:

1. 2003 წ. ე.წ. ვარდების რევოლუციად წოდებული სახელმწიფო გადატრიალების გზით ხელისუფლებაში მოსული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური გუნდის მიერ გატარებულმა საკონსტიტუციო რეფორმამ უდიდესი ზიანი მიაყენა ქართული სახელმწიფოს საკანონმდებლო სივრცეს;

2. 2004 წლის 6 თებერვლიდან განხორციელებული ე.წ. საკონსტიტუციო რეფორმა შეფასდეს როგორც დანაშაულებრივი, და გამოცხადდეს იგი უკანონოდ და ბათილად;

3. აღდგეს 1995 წ. 24 აგვისტოს მიღებული „საქართველოს კონსტიტუციის“ რედაქცია - 2004 წ. 6 თებერვლამდე არსებული მდგომარეობით.

## 3.6 თუ თქვენ ჩვენსავით ფიქრობთ, რომ შესაცვლელია აფხაზეთიდან დევნილი სახელისუფლო შტოებისა და მოსახლეობის ურთიერთ თანამშრომლობის საკითხები და არ იცით, როგორ შეიძლება გადაიჭრას შექმნილი პრობლემა, მხარი დაუჭირეთ „უფლის სახელით..." მომავალი პოლიტიკური გუნდის საარჩევნო პროგრამას, და არჩევნებში გამოხატული მხარდაჭერით მოგვეცით მისი განხორციელების შესაძლებლობა

### ა) წინარე ისტორია, ანუ ეროვნული ხელისუფლების ძალისხმევა

1988-1989 წლიდან მოყოლებული, კრემლის აშკარა წაქეზებითა და ხელშეწყობით, აფხაზი სეპარატისტების მიერ, გამუდმებით ხდებოდა მდგომარეობის დაძაბვა, საქართველოს განუყოფელი ნაწილის - აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ძალების გამარჯვებით დასრულდა. ქვეყნის სათავეში მოსული ეროვნული ხელისუფლება, ყოველნაირად ცდილობდა მშვიდობიანი გზით გამკლავებოდა კრემლის იმპერიული ძალების მიერ აფხაზეთში შეიარაღებულ დაპირისპირების გაჩაღების მცდელობას.

მიუხედავად კრემლის იმპერიული ძალების წინააღმდეგობისა, ქართული და აფხაზური მხარის ორმხრივი კონსენსუსის საფუძველზე მაინც მოხერხდა მდგომარეობის ნორმალიზება... 1991 წლის 9 ივლისს მიღებულ იქნა აფხაზეთის ახალი საარჩევნო კანონი,რომელიც გარკვეული ქვოტების პრინციპს ითვალისწინებდა. კერძოდ:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში იქნებოდა 65 დეპუტატი; მათ შორის: 28 - აფხაზი ეროვნების; 26 - ქართველი და 11 - სხვა დანარჩენი ეროვნების მქონე დეპუტატი;
- მიღწეული შეთანხმების თანახმად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე აფხაზური დეპუტაციის, ხოლო მისი პირველი მოადგილე - ქართული დეპუტაციის წარმომადგენელი იქნებოდა;
- მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იქნებოდა ქართველი, ხოლო მისი პირველი მოადგილე - აფხაზი;
- აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მოქმედ კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება (გარდა საპროცედუროსი) უნდა მიღებულიყო ხმების 2/3-ით (44 ხმა), რომლის მოსაგროვებლად აუცილებელი ხდებოდა ქართული და აფხაზური მხარის დეპუტატთა ურთიერთკომპრომისი.

### ბ) 1991-1993 წლები

1991 წლის 29 დეკემბერსა და 1992 წლის 6 იანვარს, ახლადარჩეული აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე დაწყებული საქმიანობის ნორმალური რიტმი, საქართველოში მომხდარმა სამხედრო გადატრიალებამ საბოლოოდ შეცვალა.

ქართული დეპუტაცია კრემლის მიერ წაქეზებული აფხაზეთის დეპუტატთა მიერ დაგებულ მახეში გაება. კერძოდ: 1992 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ქართულმა დეპუტაციამ, დატოვა რა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ფაქტობრივად უარი განაცხადა საპარლამენტო გზით პრობლემის ერთობლივად მოგვარებისათვის ბრძოლაზე და ქვეყნის ბედი მთლიანად სეპარატისტული ძალების ამარა დატოვა.

აფხაზეთის უმაღლესი არჩევითი სახელისუფლებო რგოლის - უმაღლესი საბჭოს ორი პარალელური სტრუქტურის დაფიქსირებამ, საგალალო შედეგების მიღებას დაუდო სათავე.

ᲓᲦᲔᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲘ ᲐᲡᲔᲗᲘᲐ:

ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲕᲘᲦᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ 1991 წლის დეკემბერში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ 5 წლით არჩეულ - აფხაზეთის უმაღლესი საბჭოში, გარე და შიდა ანტისახელმწიფოებრივი ძალების ზემოქმედებისა გამო - აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ორად გაყოფის დაფიქსირებიდან, ანუ - 1992 წლის 3 აპრილის შემდგომად, ცალ-ცალკე გუნდად მოქმედი არც ერთი საპარლამენტო დეპუტაცია აღარ გახლდათ 1991 წლის 9 ივლისს მიღებული საარჩევნო კანონით განსაზღვრული კანონიერი სახელისუფლო შტოს ლეგიტიმაციის მატარებელი; ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ

ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲕᲘᲦᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ 1991 წლის 3 აპრილს, აფხაზეთის უმაღლესი არჩევითი სახელისუფლებო რგოლის - უმაღლესი საბჭოს ორი პარალელური სტრუქტურის დაფიქსირებამ, საგალალო შედეგების მიღებას დაუდო სათავე. მართვის სათავეებთან მარტოდ დარჩენილი აფხაზეთის ასსრ სეპარატისტული ხელმძღვანელობა, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ქვორუმის ხელოვნურად შევცვლის ხარჯზე, კანონით განსაზღვრული პროცედურების დარღვევით, თანამიმდევრულად იღებდა ანტიკონსტიტუციურ სამართლებრივ აქტებს (აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ კანონდარღვევით მიღებული დადგენილება აფხაზეთის ტერიტორიაზე - საქართველოს კანონების იურიდიული ძალის არმქონედ და გაუქმებულად გამოცხადება; 1992 წ. 23 ივლისს მიღებული აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება - აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედების შეჩერებისა და აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუცის ამოქმედების თაობაზე და სხვა); ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ

ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲕᲘᲦᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ „სახელმწიფო საბჭოს" დაქვემდებარებაში მყოფი შეიარაღებული ძალების მიერ, სარკინიგზო მაგისტრალების დაცვის საბაბით, სინამდვილეში კი კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა საპროტესტო აქციების ასალაგმავად, საქართველოს განუყოფელი ნაწილის აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილება პროვოკაციულად იქნა გამოყენებული აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში მყოფი აფხაზი სეპარატისტების კონტროლირებადი სახელისუფლო შტოს მიერ საომარი მოქმედების წამოწყებისათვის, რითაც საქართველო ჩართულ იქნა რუსეთის იმპერიული ძალების მიერ ინსპირირებულ საომარ მოქმედებაში; ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ

ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲕᲘᲦᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ საქართველოს განუყოფელი ნაწილის - აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებს არ მიეცა

სათანადო კვალიფიკაცია და არ იქნა გატარებული მისი სალიკვიდაციო სრულფასოვანი ღონისძიება, რითაც თანმიმდევრულად დაკარგულ იქნა მთელი აფხაზეთის ტერიტორია; აბრეითვე

მხედველობაში ვიღებთ, რომ 1993 წლის 27 ივლისს სოჭში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რაც ითვალისწინებდა ე.წ. კონფლიქტის ზონიდან ყველა ჯარის გაყვანას (სოხუმიდან მძიმე ტექნიკისა და არტილერიის გაყვანა), შემზადდა ნიადაგი 1993 წლის 16 სექტემბერს საომარი მოქმედების განახლებისა და 1993 წლის 27-30 სექტემბერს ქ. სოხუმისა და მთლიანად აფხაზეთად წოდებული საქართველოს ძირძველი კუთხის ოკუპაციისა და შემდგომი ანექსიისათვის; აბრეითვე

მხედველობაში ვიღებთ, რომ 1991 წლის დეკემბერში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩატარებული აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ე.წ. „ქართველთა ქვოტით" არჩეულმა ქართულმა დეპუტაციამ თავისი საქმიანობა დევნილობაში განაგრძო, და 1993 წლის ოქტომბრიდან, დროებით, თბილისში დამკვიდრდა; აბრეითვე

მხედველობაში ვიღებთ, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის მოწვევის საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლებო შტოს - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ (1992 წ. 13 მარტს და სხვა), ერთის მხრივ და მეორეს მხრივ 2003-2004 წ.წ. მოწვევის საქართველოს დე-ფაქტოდ მოქმედი პარლამენტის მიერ (2005 წ. 11 მარტი) მიღებული დადგენილებების თანახმად, 1991-1992 წლებში მომხდარი ხელისუფლების სამხედრო-კრიმინალური მოქმედების გზით შეცვლის შემდეგ მიღებული ყველა ანტიკონსტიტუციური გზით მიღებული გადაწყვეტილება (მათ შორის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში) ითვლება - უკანონოდ და იურიდიული ძალის არმქონედ

უფლებამოსილნი ვართ განვაცხადოთ შემდეგი:

1. 1991 წლის დეკემბერში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ 5 წლით არჩეული - აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, გარე და შიდა ანტისახელმწიფოებრივი ძალების ზემოქმედებისა გამო - ორად გაყოფის დაფიქსირებიდან, ანუ - 1992 წლის 3 აპრილის შემდგომად, აღარ გახლდათ 1991 წლის 9 ივლისს მიღებული საარჩევნო კანონით განსაზღვრული კანონიერი ხელისუფლო შტოს ლეგიტიმაციის მატარებელი; რამეთუ არცერთი მათგანი აღარ იყო (არის) აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის ერთიანი ჭეშმარიტი ნების გამომხატველი;

2. 1992 წლის 3 აპრილიდან მოყოლებული, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შიგნით წარმოქმნილი ორივე (როგორც ქართული ასევე აფხაზური) სადეპუტატო შტო, თავისი არალეგიტიმურობის ხასიათიდან გამომდინარე, არის - უკანონო ხელისუფლებო წარმონაქმნი;

3. 1992 წლის 3 აპრილიდან ათვლით - 1991 წლის დეკემბერში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობის მიერ არჩეული - აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ორად გაყოფილი - ქართული და აფხაზური (სეპარატისტული) ხელისუფლებო წარმონაქმნისა თუ მათ სამართალმემკვიდრეთა მიერ - აფხაზეთის უმაღლესი არჩევითი ორგანოს სახელით მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება არის უკანონო და იურიდიული ძალის არმქონე.

## ბ) მისაღები გადაწყვეტილებების ჩამონათვალი

1991-1992 წლების მოვლენების შედეგად წარმოქმნილი ანტიკონსტიტუციური პოლიტიკური სივრცის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევამდე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებული პირებისა და სახელისუფლო სტრუქტურების საქმიანობის მეტ-ნაკლებად მოწესრიგების მიზნით აუცილებელია:

1. რეორგანიზაცია გაუკეთდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს; კერძოდ: სახელდება - „აფხაზეთის უმაღლესი საბჭო" შეიცვალოს, და ეწოდოს - „აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის საბჭო";

2. „აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის საბჭო"-ს შემადგენლობა განისაზღვროს:

ა) სათათბირო ხმის უფლების მქონე - 1991 წლის დეკემბერში აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის მიერ არჩეული დეპუტატებისაგან;

ბ) სათათბირო ხმის უფლების მქონე - 1992 წლის 11 ოქტომბრის უკანონო საპარლამენტო არჩევნების შედეგად აფხაზეთიდან არჩეული დეპუტატებისაგან;

გ) 1992-1993 წლებში საქართველოს განუყოფელ ნაწილში აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებისა და, შემდგომში, ქართული ტერიტორიის ანექსიისა და ოკუპაციისას განხორციელებული ეთნიკური წმენდის შედეგად, საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მიერ გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე - მაჟორიტარული პრინციპით არჩეული დეპუტატებისაგან.

3. აფხაზეთის ავტონომიიდან დევნილი მოსახლეობის მიერ „აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის საბჭო"-ში, გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე მაჟორიტარების არჩევის წესი უნდა დაეფუძნოს, აფხაზეთის ავტონომიის - გაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და სოხუმის რაიონებში ჩაწერის მქონე აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მიერ არჩევნების გზით გამოხატულ თავისუფალ ნებას;

4. „აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის საბჭო"-ში შემავალი გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე მაჟორიტარული პრინციპით არჩეული დეპუტაცია, სათათბირო ხმის უფლების მქონე დეპუტაციის აზრის გათვალისწინებით, აყალიბებს - „აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის მთავრობას".

5. „აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის მთავრობის" თავმჯდომარის ორ კანდიდატურას, „აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის საბჭო"-ში შემავალი გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე მაჟორიტარული პრინციპით არჩეული დეპუტაციიდან, ასახელებს საქართველოს პრეზიდენტი. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი რომელიც ყველაზე მეტ ხმას მოაგროვებს. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს „აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის საბჭო"-ს თავმჯდომარე.

6. „აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის საბჭო" შეიმუშავებს თავის სამუშაო რეგლამენტს და „აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის მთავრობის" სტრუქტურას;

7. „აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის მთავრობის" მთლიან გუნდს აყალიბებს, მთავრობის თავმჯდომარე და დასამტკიცებლად წარუდგენს „აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის საბჭო"-ს. მთავრობის გუნდის დამტკიცება ხდება გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე დეპუტატთა უბრალო უმრავლესობით.

## ᲗᲐᲕᲘ 4.
## „ᲣᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ...“ ᲛᲐᲒᲐᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲒᲖᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲢᲣᲠᲔᲑᲘ

წინამდებარე საარჩევნო პროგრამის დასასრულს, კომენტარის გარეშე შემოგთავაზებთ ბიბლიაში დაცულ რამოდენიმე მინიშნებას, რომლებშიც ბოლო ჟამის მიწურულს მოსახდენი მოვლენების თაობაზეა საუბარი:

„ვიხილე აჰა, ძლიერდება კაცი...
ამის შემდეგ ვიხილე აჰა, იკრიბება კაცთა ურიცხვი სიმრავლე ცის ოთხი ქარიდან, რათა შეებრძოლოს ᲖᲦᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲡᲣᲚ ᲙᲐᲪᲡ...
ამის შემდეგ ვიხილე; აჰა, დიდმა შიშმა მოიცვა ყველა, ვინც მის წინააღმდეგ საბრძოლველად იყო შეკრებილი, თუმცა მაინც ბედავდნენ შებრძოლებას. და, აჰა, როცა დაინახა მან მასზე წამოსული სიმრავლის იერიში, ხელი არ აღუმართავს, შუბი არც ეპყრა და არც სხვა რაიმე საომარი იარაღი; მხოლოდ ის დავინახე, რომ პირიდან ცეცხლის ქროლვა და ბაგეთაგან ალისფერი ამოუშვა და ენიდან ნაპერწკლების ქარიშხალი გამოაფრქვია; ერთმანეთში ირეოდა ცეცხლის ქროლვა, ალისფერი და ძლიერი ქარიშხალი;
ᲓᲐᲔᲪᲐ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲑᲣᲒᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ; უეცრად გაუჩინარდა ეს აღურაცხელი სიმრავლე, მხოლოდ მტვერი და კვამლის სუნიღა დარჩა. ვიხილე და შიშმა ამიტანა. ამის შემდეგ ვიხილე თავად კაცი, მთიდან ჩამომავალი, თავისკენ მოუხმობდა სხვა სიმრავლეს, მშვიდობიანს. უამრავი ხალხი მოდიოდა მასთან, ზოგი მხიარული, ზოგი დამწუხრებული; ერთნი შებოჭილნი იყვნენ, მეორენი მოჰყავდათ როგორც მსხვერპლი. ცუდად შევიქენი მეტისმეტი შიშისგან, გამოვფხიზლდი და ვთქვი: შენ თავიდანვე უჩვენებდი შენს მორჩილს ამ სასწაულებს და ღირსი გამხადე, რომ შეგესმინა ჩემი ვედრება. ახლაც მაჩვენე სიზმრის განმარტება.
...ხოლო მან მიპასუხა და თქვა: ამ ხილვის განმარტებასაც გეტყვი და გაგიმხელ რაზეც ლაპარაკობდი:
..მაშინ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲫᲔ, შენ რომ იხილე, როგორც კაცი, ზღვიდან ამომავალი. როცა გაიგონებს მის ხმას ყოველი ხალხი, შეწყვეტენ თავ-თავის სამფლობელოებში ერთმანეთთან ბრძოლას. და შეიკრიბებიან ერთ უთვალავ სიმრავლედ, თითქოს საომრად აპირებენო წასვლას.
ᲩᲔᲛᲘ ᲫᲔ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲝᲣᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ ᲨᲔᲛᲝᲙᲠᲔᲑᲘᲚ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲡ ᲛᲐᲗ ᲣᲙᲔᲗᲣᲠᲔᲑᲔᲑᲡ, რასაც ქარიშხლები განასახიერებს, მათი ავი ზრახვებისა და სატანჯველის გამო, რითაც მოელით ტანჯვა, რასაც ალი განასახიერებს და დაღუპავს მათ გაუჭირვებლად რჯულის მეოხებით, რაც ცეცხლით არის განსახიერებული“ [3 ეზრა 13,3; 5; 8-9; 11-15; 20-21; 32-34; 37-38].
ᲕᲘᲡᲐᲪ ᲧᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲛᲔᲜᲚᲐᲓ ᲐᲥᲕᲡ ᲘᲡᲛᲘᲜᲝᲡ:
- „თუ ვინმე თავის თავს წინასწარმეტყველად ან სულიერად თვლის, დაე, შეიცნოს, რომ რასაც თქვენ გწერთ, უფლის მცნებანი გახლავთ. ხოლო ვისაც არ ესმის, დაე, ნუ ესმის“ [1 კორ. 13,37-38].
ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, დაილოცოს შენი ძალა და სამართალი სახელი და დიდება, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ᲐᲛᲔᲜ!

# ღვთის სახელით



# ღვათია ჩვენი სიმართლე